თქვენი ჭირიმე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!...
ვიცინი, აღარ ვტირი მე.
ახალგაპზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!...
ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გვგლეჯენ ენასა, -
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!

ნასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერით,ნ ახლაც ვყვირი მე.
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე!

ბევრი ვეცადე, ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე.
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!

კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვტირი მე!
დრო მიდის დ ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

1905 წ.